

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, გიორგი ელაშვილის ანგარიში 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წ 10 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ჩემო თანასოფლელებო, მოგეხსენებათ 2021 წლის ოქტომბერში ჩატარებული სიღნაღის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული ვარ ჯუგაანი, ერისიმედის ამომრჩევლების მიერ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს წევრად .

საკრებულო თავისი უფლებამოსილების განხორციელებას 2021 წლის 3 დეკემბერს შეუდგა. ამ დღიდან , ჩემი როგორც საკრებულოს წევრის, საქმიანობა მოიცავს საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება“ , საფინანსო საბიუჯეტო კომისიისა და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობას.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 14 სხდომა ვესწრებოდი 14-ს, ჩატარდა ფრაქციის „ქართული ოცნება“ - 12 სხდომა, ვესწრებოდი -12-ს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის- 11 სხდომა, ვესწრებოდი - 11 . აქტიურად ვიყავი ჩართული საკითხების განხილვაში. საკრებულოს სხდომებზე ჩემ მიერ მხარდაჭერილ იქნა როგორც საკრებულოს სამუშაო გეგმით განსაზღვრული, ასევე მუნიციპალიტეტის წინაშე დღის წესრიგში დასმული მიმდინარე საკითხები.

საანგარიშო პერიოდში მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან . მოვისმინე მათი პრობლემური და პრიორიტეტული საკითხები, რაც ძირითადად შეეხება: ჯანდაცვის საკითხებს, საუბნო და სასოფლო-სამეურნეო სავარგულამდე მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სასმელი წყლის სისტემის მოწყობას, შიდა საუბნო გზების მოასფალტებასა და გარეგანათების მოწყობას.

ჩემთვის როგორც საკრებულოს მაჟორიტარი წევრისთვის მნიშვნელოვანია ყველა ის პრობლემა თუ გამოწვევა , რომლის წინაშეც დგას ჩემი სოფლის მოსახლეობა . ეს იქნება ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხები თუ აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, აქტიურად ვმონაწილეობ მათ განხილვასა და გადაჭრის გზების მოძიებაში.

საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარების გაცემის პროგრამით სოფ. ჯუგაანში ისარგებლა 187 მოქალაქემ და მასზე დაიხარჯა 46 848 ლარი.

კერძოდ:

სამედიცინო დახმარების მუხლი (58 ბენეფიციარი) -26 798ლარი;

შშმ პირთა სოციალური დაცვა (52 ბენეფიციარი) -7650 ლარი;

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (9 ბენეფიციარი) -1800 ლარი;

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოც. დახმარება (62 ბენეფიციარი)- 10700 ლარი;

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვის მუხლიდან-(3 ბენეფიციარი) - 500ლარი;

მარტოხელა და მარჩენალდაკარგული მშობლის სოციალური დაცვა (2 ბენეფიციარი) -400 ლარი;

ხანძრებისა და სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალისთვის დახმარება (1ბენეფიციარი)- 800ლარი.

როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად ვმონაწილეობ სოფელ ჯუგაანში და ერისიმედში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საკითხების დაგეგმვასა და განხილვაში.

სოფელ ჯუგაანში წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი დასასრულს უახლოვდება. პროექტის ფარგლებში წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად ახალი სისტემები, ქსელები, ჭაბურღილები მოეწყო. მისი დასრულების შემდეგ, მოსახლეობა, ახალი სისტემით, მაღალი ხარისხის წყალს 24 საათის განმავლობაში მიიღებს. პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ახორციელებს.

საანგარიშო პერიოდში სოფ. ჯუგაანში განხორციელდა (ჩუმაკოანთ უბანში) ს/გზის რეაბილიტაცია (342659) ლარი . 485 გრ.ძვ მეტრი. ჯუგაანში დაგეგმილია სპორტული დარბაზის მშენებლობა და საბავშვო ბაღის გზის რეაბილიტაცია (გრ.ძვ 549 მ).

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფელ ჯუგაანში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, ხოლო სოფ. ერისიმედში შიდა საუბნო გზების მოხრეშვა .

როგორც სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი კვლავაც გავაგრძელებ მოსახლეობასთან კომუნიკაციას. ვთანამშრომლობ მერიის სამსახურებთან და ყველა შესაბამის სრუქტურასთან, რასაც დადებითი შედეგი მოაქვს მოსახლეობის პრობლემების მოგვარების საკითხებში. აქტიური თანამშრომლობა მაქვს მერის წარმომადგენელთან ჯუგაანის ადმინისტრაციულ ერთეულში . ჩვენ ერთად შევიმუშავეთ დამისამართებული ქუჩების სახელდების პროექტი და კვლავაც გავაგრძელებთ იმ საკითხებზე მუშაობას , რომელიც ჯუგაანის თემში მცხოვრებ მოსახლეობას ცხოვრების უკეთეს პირობებს შეუქმნის.

დასასრულს, მინდა მაღლობა გადაგიხადოთ არჩევნებში მხარდაჭერისა და ნდობის გამოცხადებისათვის. საანგარიშო პერიოდში მიღებული გამოცდილებით, ვაგრძელებ აქტიურ მუშაობას სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

გ. ელაშვილი